

ლიტერატურა და ფოლკლორი / Literature and Folklore

საქართველოს ისტორიული წარსული ქართულ ფოლკლორსა და ვახტანგ
ორბელიანის შემოქმედებაში („ძველი დმანისი“, „ორი სიზმარი“)
Georgia's Historical Past in Georgian Folklore and works of Vakhtang
Orbeliani ("Old Dmanisi", "Two Dreams")

Pati Abashidze

PhD in philology, Batumi Shota Rustaveli State University
Researcher of Department of Folklore, Dialectology and
Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute,
e-mail: pati.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9995-5716>

Abstract: The report discusses the problem of relationship between the poems "Old Dmanisi" and "Ori Sizmari" by the Georgian romanticist Vakhtang Orbeliani with Georgian folklore. In these poems of the poet, a great interest is expressed in the historical past of the homeland, as well as in folk poetry, where the heroic past of our country is clearly visible; The poet longs for the lost glory of his homeland and is saddened by the current reality, which is clearly visible in the analytical poems.

Key words: Romanticism, Vakhtang Orbeliani, Romantic lyrics, Folk creativity.

ფატი აბაშიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის დიალექტოლოგიისა
და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების
მეცნიერ-თანამშრომელი
ელ. ფოსტა: pati.abashidze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9995-5716>

აბსტრაქტი: მოხსენებაში განხილულია ქართველი რომანტიკოსის -
ვახტანგ ორბელიანის ლექსების „ძველი დმანისი“ და „ორი სიზმარი“
ქართულ ფოლკლორთან ურთიერთმიმართების პრობლემა. პოეტის ამ
ლექსებში დიდი ინტერესია გამოხატული სამშობლოს ისტორიული
წარსულისადმი ისევე, როგორც ხალხურ პოეზიაში, სადაც კარგად ჩანს ჩვენი
ქვეყნის გმირული წარსული; პოეტი შენატრის სამშობლოს გარდასულ

დიდებას და დამწუხრებულია არსებული რეალობით, რაც ნათლად ჩანს საანალიზო ლექსებში.

საკვანძო სიტყვები: რომანტიზმი, ვახტანგ ორბელიანი, სატრფიალო ლირიკა, ხალხური შემოქმედება.

შესავალი: XVIII საუკუნე ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი იყო საქართველოს ისედაც ტვირთმძიმე ისტორიაში. მუდმივი თავდაცვითი ომებით უაღრესად დასუსტებულ, დაქუცმაცებულ-გამეჩხერებულ, მორალურად და ფიზიკურად დაუძლურებულ, ათასი ჯურის მტერთაგან აოხრებულ ქვეყანას ყველა ეროვნებისა და მოდგმის ხალხი მოსდებოდა...

საქართველოს ამ მღელვარე ეპოქის უკეთ გასაგებად თუ გასააზრებლად საკმარისია გავეცნოთ ჩვენი წინაპრების ზეპირსიტყვიერ მასალებს, რომლებშიც, ისტორიულ ფაქტებთან და პირებთან ერთად, გადმოცემულია ის სატკივარი, რომელიც ხალხს აწუხებდა, რომელიც იმდროინდელ სინამდვილეს შეულამაზებლად ასახავს, რადგანაც „ზეპირსიტყვიერება ოდითგან ის წმინდა ნავსაყუდელია, სადაც პირუთვნელი სიცხადითა და მომხიბვლელით არის დაუნჯებული საუკუნეთა განმავლობაში ხალხის ფაქიზ სულიერ ქურაში გადამდნარ-გამოწრთობილი ზნეობრივი ტრადიციები. ამ ღირებული მონაპოვრის გარეშე ვერცერთი ხალხი ვერ ჩამოყალიბდება ერად, ვერ შეიქმნის საკუთარ იერსახეს, ვერ იგრძნობს შინაგან თავისუფლებასა და ეროვნულ ღირსებას, ვერ დადგება „ერად სხვა ერთა შორის“ (შოშვილი, 2000: 365).

ქართული ფოლკლორის ყველა ჟანრი მდიდარია ამგვარი ტრადიციებით, თუმცა განსაკუთრებულია საისტორიო ზეპირსიტყვიერება, რომელიც წარსულის გმირული სურათების გაცოცხლებით ზრდის ერის წიაღში ახალ-ახალ გმირებს, შთაუწერგავს სიბრძნეს, სიქველეს, ვაჟკაცობას, სამშობლოსადმი თავდადებასა და ღირსეულ მამულიშვილობას. სწორედაც, ამით იყო გამოწვეული ქართველ რომანტიკოსთა ესოდენი დაინტერესება მშობელი ხალხის ზეპირსიტყვიერებით; მრავალჭირგადაანახადი მამულის წარსულისადმი მიძღვნილი მათი შემოქმედება საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ისინი საკმაოდ კარგად იცნობენ ქართულ ხალხურ სიტყვიერებას, როგორც ერის ისტორიულ წარსულში გარკვევის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ერეკლე მეორეს და მისი დროის საქართველოს ეძღვნება; დროს, როცა საქართველოს ჰყავდა ღვთივკურთხეული მეფე, რომელიც დღემუდამ ზრუნავდა თავის ხალხზე და ყოველ ღონეს ხმარობდა სამშობლოს დასაცავად.

ქართველი რომანტიკოსებისთვის მახლობელია როგორც ოფიციალურ მემკვიდრეობაში მიერ გადმოცემული საქართველოს ისტორია, ასევე –

ქართველი ხალხის მიუკერძოებელი თვალთ დანახული ისტორიაც. „ზეპირსიტყვიერება ხალხისათვის წარსულის შესასწავლი და აწმყოს ხსოვნის გასამტკიცებელი საშუალებაა“, – აღნიშნავს მკვლევარი ქსენია სიხარულიძე (სიხარულიძე, 1949: 109).

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის – ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაც თითქმის მთლიანად სამშობლოს წარსულზე ოცნებითა და სევდითაა აღსავსე. მისი პოეზია, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთი გულსაკვდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდგინებული“ (ჭავჭავაძე, 1953: 240).

კვლევის მეთოდები: სტატიაზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები, რაც განპირობებული იყო კვლევის მიზნითა და დანიშნულებით.

მსჯელობა/შედეგები: ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის სამშობლოს ისტორია, წარსული დიდება, რომელსაც ერთის მხრივ მისტირის პოეტი, ხოლო მეორეს მხრივ – ქართველი ხალხი. ის ფაქტი, რომ ვახტანგ ორბელიანისათვის სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მისი სასიცოცხლო არსებობის ფორმა იყო, სავსებით ბუნებრივია; იგი ხომ ქართველი ხალხის სათაყვანებელი მეფის – ერეკლე II-ის შვილიშვილია და მასში ბავშვობიდანვე სისხლხორცეულად გამჯდარია პატრიოტული სულისკვეთება.

რომანტიკოსი პოეტისათვის განსაკუთრებით მახლობელი და სათაყვანებელია წარსული დიდების უტყვი მოწმენი - ნანგრევები, რომელთა წიაღშიც იმალება დიდებულ წინაპართა ოდინდელი დიდება; სწორედ, ამიტომაც მწერალი მოწიწებით მიმართავს მათ ლექსში „ძველი დმანისი“:

მოგესალმები დიდ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შთენი;
ვდგევარ თქვენ წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რაც არს წარსული.

(ორბელიანი, 1992: 485)

არც ქართული ხალხური სიტყვიერება და არც ჩვენი რომანტიკოსი მწერლები არ ივიწყებენ წინაპართა საგმირო საქმეებს. ხალხური სიტყვიერება სხვა ღირსებებთან ერთად, ხალხისთვის წარსულის შემსწავლელი და აწმყოს ხსოვნის გასამტკიცებელი საშუალება იყო, არის და იქნება. „ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა გატაცებით ისმენდა მოხუცებისგან გამოჩენილი გმირების თუ მტრების შესახებ ამბებს და ამგვარად ეცნობოდა სამშობლოს ავ-კარგს“ (სიხარულიძე, 1949: 109). ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ხევსურული ლექსი რომელიც

ახალგაზრდების თხოვნით მოხუცის მიერ წარსულის მოგონებაზეა აგებული:

დაჯექ, დათოლე პაპაო,
ძველი რამ გეცოდინება,
თუ კარგ რამეებს გვიაგბობ,
ცრემლები დაგვედინება.

.....
ჩვენი მოხუციც ვერ დასთვლის,
რაც საქმე გადაგვხდენია,
ბევჯერ დაგვეცნენ თათრები,
ლეკების ჯარი დიდია,
მაგრამ დაგვფარეს სალოცავთ,
იმათი მადლი დიდია,
ეს ჩვენი მთა და მამული
ზურგზედ ისევ ჩვენ გვკვიდია.

(სიხარულიძე, 1949: 109-110)

რომანტიკოს პოეტს განუსაზღვრელად უყვარს „ეგ ციხე... საქართველოს დიდებულ წარსულის მოწმე კომუნე, ტამარი... როსმე მაგარი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი“, რადგან იგი არის „მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეული“. მშობლიური ქვეყნის დიადი წარსული, რა თქმა უნდა, იმავდროულად განუსაზღვრელი სევდის მომტანიც არის პოეტისთვის, რადგან შეპყრებს ოდესღაც დიდების მწვერვალზე მყოფი სამშობლოს ნანგრევებს, რომელთა მომზირალს ახსენდება გარდასული დიდება და რომანტიკოსი მწერლისათვის კიდევ უფრო აუტანელი ხდება რეალობისთვის თვალის გასწორება; ამ ყველაფერს კი იგი პესიმისმამდე მიჰყავს, რადგან წარსულის განმეორება მხოლოდ წარმოსახვაში მიაჩნია შესაძლებლად, აწმყოში კი წარმოუდგენლად ესახება:

რაც რომ ყოფილა, წასულა და აღარ იქნება,
რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს,
რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს...
განქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა
ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემთ თვალთა წინა!

(ორბელიანი, 1992: 485)

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო პოეზიის კოლექტიური ავტორიც, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, უკმაყოფილო და იმედგაცრუებულია აწმყოთი და სწორედ ამიტომ მისტირის დიდებულ წარსულს:

ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,
ქართულად შევქმენ ნავარდი,

მეფის ირაკლის ჯარშია
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი:
დახედე სიბერკაცესა,
ბოლოჟამს როგორ დავვარდი!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 211)

სახალხო მთქმელის მსგავსად, ვახტანგ ორბელიანიც უაღრესად დათრგუნულია მშობელი ქვეყნის მძიმე მდგომარეობით, რაც მკაფიოდ არის გამოხატული ლექსის – „ორი სიზმარი“ – დასაწყისში:

ჩვენი სამშობლო, მშვენიერი ჩვენი ივერი,
მაგრამ ივერი უსულდგმულო, ივერი მკვდარი,
გარდაშლილიყო ზღვის კიდემდინ ჩემთ თვალთა წინა.
სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მის წიაღს შინა...

(ორბელიანი, 1992: 486)

პოეტი შეწუხებულია სამშობლოს მდგომარეობით, რომელიც იმდენად უსულო და გაყინულ მდგომარეობაშია, რომ „უხვად ბრწყინვალე“ მზის სხივიც კი ვერაფერს უხერხებს. მგოსანი ქართველთა მდგომარეობას ადარებს „შემდგარ“ მდინარეს, უძრავ და „სრულიად მკვდარ“ ბუნებას, მიტოვებულ და „დარღვეულ ტაძართ“; ყოველივე ამის მხილველი კი საბოლოოდ ასკვნის, რომ უსულო ივერი მკვდარიც კი თვალწარმტაცი და მშვენიერია:

ერგეთ უსულო ჩემთ თვალთ-წინა იდო ივერი,
მაგრამ მკვდარიც კი იყო ტურფა და მშვენიერი.
ერგეთ ასულსა ტურფას, წმიდას, ახლად მიცვლილსა,
გულ-ხელ დაკრეფილს, გაციებულს და ფერმიხდილსა
ადარ აცხოვლებს ცა ბრწყინვალე და ქვეყნის შვება,
მაგრამ მის სახეს კვლავ უბრწყინავს თვისი შვენება.

(ორბელიანი, 1992: 486)

ქართველი სახალხო მთქმელიც, რომანტიკოსი პოეტის დარად, ხშირად უკმაყოფილოა აწმყოთი და მისტირის წარსულს. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „მეფე ერეკლეს დროშია“, რომელიც ჩაწერილია ქართლში, სოფელ ნიჩბისში, გაიდებულა მათე ერეკლეს ეპოქა:

მეფე ერეკლეს დროშია
შორს მოვამუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი...

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 212)

მთქმელი ერთმანეთს უპირისპირებს, მამისა და შვილის ეპოქებს და გმობს მეფე გიორგის დროის სოციუმს, როცა დამპყრობლის ხელში

თავისუფლება სამეზარია, გმირული სული - დათრგუნვილი და ლხინი - შეუძლებელი:

მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია,
ვერც გავახარეთ ცოლ-შვილი,
ვერც მოვილხინეთ ტოლშია.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 212)

ხალხური პოეზიის ეს პირუთენელი ნიმუში იმის დასტურია, რომ ქართულ ხალხურ სიტყვიერებას ნათლად გამოუხატავს დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობა, გულისტკივილი და საფიქრალ-საწუხარი.

რომანტიკოსი პოეტი ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავისუფლება დაკარგა იმ ერმა, რომელსაც თურქულ-სპარსულმა შემოტევებმაც კი ვერაფერი დააკლო, ვერ მოდრიკა და ვერც თავისუფლება წაართვა; მაგრამ ახლა საქართველოს ახალი განსაცდელი მოევლინა და ეს განსაცდელი, პოეტის ღრმა რწმენით, რუსეთია.

ქართველ ხალხს არასოდეს დაუკარგავს ოპტიმიზმის გრძნობა; კარგად აქვს გათავისებული, რომ ვიდრე ადამიანი ცოცხალია, ყოველთვის ინდა ჰქონდეს იმედი; ძნელბედობის ჟამსაც არ კარგავდა მომავლის რწმენას და მტკიცედ სჯეროდა, რომ ჩვენთვისაც გათენდებოდა მზიანი დილა, როცა საქართველო თავისუფალი, გაბრწყინებული და ძლიერი იქნებოდა. წინაპართა იმედიანი განწყობა კარგად ჩანს არაერთ ქართულ ხალხურ ანდაზაში: „ერთი კარი რომ მიიხურება, მეორე გაიღება“; „იმედიანი შიმშილიც კარგიაო“ და სხვა. სწორედ ასეთი იმედიანი განწყობა იგრძნობა ვახტანგ ორბელიანის ლექსის – „ორი სიზმრი“ – მეორე ნაწილში, რომელის თანახმადაც საკუთარ წარმოსახვაში პოეტი ადის „მთას წმიდასა“, საიდანაც ხედავს აღდგენილ, გამოცოცხლებულ სამშობლო ქვეყანას:

....კვლავ ავედი მას მთას წმიდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთის დიდებასა.
ვხედავდი ივერს, გადამლილსა ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძა მის წიაღ შინა.

(ორბელიანი, 1992: 486)

ვახტანგ ორბელიანის ლირიკული გმირი უაღრესად ოპტიმისტია; ყველაფრის მიუხედავად, იმედით ცოცხლობს; ზოგჯერ, მწარე გოდების დროსაც კი, პოეტი არ კარგავს სამშობლოს ძველი დიდების დაბრუნების იმედს და ცდილობს, იმედიანი განწყობა შეინარჩუნოს, რაც კარგად შეიმჩნევა ლექსში „ორი სიზმარი“:

წყალნი, ნაკადნი ფრიალოთგან, ქუხილით სჩქეფდნენ,
მოკამკამენი მდინარენი ველეზად რბოდნენ;

ზურმუხტნი ველნი და ყვავილნი კაცთ და ბუნებას
უხვად და მდიდრად უგზავნიდნენ თვისს სურნელებას;
მაგარ-სადგურნი და პალატნი, წმიდა ტაძარნი
თვისს ნანგრევთაგან დიდებულად იყვენენ ამდგარნი...
(ორბელიანი, 1992: 487)

ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ოპტიმიზმი უთუოდ საზრდოობს ქართველი ხალხის წიაღში საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული მომავლის რწმენით; მრავალჭირგამოვლილი ქართველობა ხომ თვით უკიდურესი ეროვნული შეჭირვების ჟამსაც არ კარგავდა ხვალისდელი დღის რწმენას და იმედიანად მღეროდა:

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია.
ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია.
მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკვეინო,
რაც ჩვენზედ დაგითესია!

(ქ. ხ. პ., 1974: 82)

რომანტიკოსს პოეტსაც და მის მშობელ ქართველ ხალხსაც უსათუოდ იმედს უსახავს სამშობლოს წარსული, მისი განვლილი გზა მრავალჯერ განადგურებული, დაცემული მაგრამ ფენიქსისებრ ფერფლისგან აღმდგარი. ვახტანგ ორბელიანს სწამს, რომ ივერიის ძველი დიდება ისევ განმეორდება „მის ძეთა ხელით“ და ყოველგვარ ბოროტებას ბოლო მოეღება:

ვხედავდი ივერს მის ძეთ ხელით, ძლიერის ნებით
ტურფად მორთულსა მშვენიერის შენობებით;
ვხედავდი მაღლა ცას ნათელსა და მშვენიერსა,
დაბლა მიწაზედ - ერს მშრომელსა და ბედნიერსა.

(ორბელიანი, 1992: 487)

რომანტიკოსი პოეტი ვერ ეგუება სამშობლოს უსასო მდგომარეობაში ყოფნას; პატრიოტ მგოსანს სწამს, რომ განვლილი დიდების დღეები დაბრუნდება და ამიტომაც არ ემორჩილება ჟამთა ცვლას, ღრმად დარწმუნებულია, რომ წარსული განმეორდება, რომ ივერია კვლავაც იქნება „ბედნიერი“, გაბრწყინებული.

დასკვნა: მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომდგენლის - ვახტანგ ორბელიანისთვის მტკივნეულია მისი თანადროული საქართველოს მდგომარეობა; იგი ვერ ეგუება სამშობლოს „ტუსალობას“ და, სწორედ, ამიტომაც შვებას წარსულ დღეთა დიდებაში ეძიებს და ჯანსაღი, ოპტიმიზმით დახუნძლული ქართული

ხალხური პოეზიის დარად, სამშობლოს მომავალ სიკეთეზე ოცნებობს; ოცნებობს და სჯერა, რომ ასეც იქნება, რადგანაც პოეტის მსოფლგაგებასა და ხალხურ მარგალიტებს შორის მუდმივი, მჭიდრო კავშირი არსებობს; მოსანი, რომელსაც კარგად აქვს გათავისებული მშობელი ხალხის ტკივილი და გასაჭირი, მიმართავს როგორც ოფიციალურ-ისტორიულ, ისე ხალხურ-პოეტურ თემებს, ვითარცა იდეალურ წარსულთან წვდომის ყველაზე ეფექტურ საშუალებას. სამშობლოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილ ლექსებში იგი გამოხატავს უსაზღვრო პატრიოტიზმს, მშობელი ქვეყნის სიყვარულს, ოპტიმიზმს; პოეტი ამაყია სამშობლოს დიდებული წარსულით და, ამ წარსულის ამაყ სამართალმემკვიდრეს, მტკიცედ სჯერა ბედნიერი მომავლისა; ამგვარი სულისკვეთება კი, ბუნებრივია, ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებითაც საზრდოობდა, რამაც რომანტიკოს ვახტანგ ორბელიანს საშუალება მისცა, ერთგვარად გაერღვია რომანტიკული ჩარჩოები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ორბელიანი, 1992** – ვახტანგ ორბელიანი, „ქართული მწერლობა“, ტ. IX, თბ.;
2. **სიხარულიძე, 1949** – ქსენია სიხარულიძე, „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, თბ.;
3. **ქ. ხ. ს. სიტყ., 1964** – „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, II ტ., ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის, თბ.;
4. **შიოშვილი, 2000** – თინა შიოშვილი, „საისტორიო ფოლკლორის ზნეობრივი მრწამსი“ – კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. IV, ქუთაისი;
5. **ჭავჭავაძე, 1953** - ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თბ.